EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS

COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

მეოთხე სექცია

მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება

V.C.L და A.N. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ

(განაცხადები N 77587/12 და 74603/12)

სამართლებრივი შეჯამება

არაოფიციალური თარგმანი

მომზადებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის ბიუროს და ანალიტიკური სამსახურის მიერ.

16 თებერვალი, 2021 წელი

COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE

კონვენციის მე-4 მუხლი - ადამიანებით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)

სახელმწიფო ორგანოების მიერ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ოპერატიული ღონისძიებების გაუტარებლობა არასრულწლოვნების დასაცავად, მიუხედავად სარწმუნო ეჭვის არსებობისა იმის შესახებ, რომ ისინი ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლნი იყვნენ: *დარღვევა.*

კონვენციის მე-6 მუხლი - სისხლისსამართლებრივი საქმისწარმოება, სამართლიანი სასამართლო განხილვა

განმცხადებელთა, როგორც ტრეფიკინგის შესაძლო მსხვერპლთა სტატუსის შეუმოწმებლობა, რამაც უარყოფითი გავლენა იქონია სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოების ზოგად სამართლიანობაზე: *დარღვევა.*

ფაქტობრივი გარემოებები

განმცხადებლები არიან ვიეტნამის მოქალაქეები, რომლებიც საქმისთვის რელევანტურ პერიოდში არასრულწლოვნები იყვნენ. პოლიციამ შეიტყო, რომ ისინი მუშაობდნენ კანაფის ქარხნებში. განმცხადებლებს ბრალი დაედოთ კონტროლირებული ნარკოტიკული საშუალების წარმოებაში მონაწილეობაში. ამ პერიოდში, ეროვნულ დონეზე მომზადებული არაერთი ანგარიში იუწყებოდა, რომ ვიეტნამელი არასრულწლოვნები განსაკუთრებით მოწყვლადები იყვნენ გაერთიანებულ სამეფოში გადაყვანის ან ქვეყნის მასშტაბით გადაადგილების და ამ ტიპის ქარხნებში ექსპლოატაციის კუთხით. სახელმწიფო ორგანოებმა დაუყოვნებლივ არ შეამოწმეს განმცხადებლები, როგორც ადამიანით ვაჭრობის პოტენციური მსხვერპლები, თუმცა კომპეტენტურმა ორგანოებმა მოგვიანებით დაადგინეს, რომ ორივე მათგანი ტრეფიკინგის მსხვერპლი იყო. სახელმწიფო ბრალდების სამსახური არ დაეთანხმა ამ შეფასებას და განაგრძო სისხლისსამართლებრივი დევნა. ორივე განმცხადებელმა თავი დამნაშავედ ცნო და სასამართლომ მათ მსჯავრი დასდო. მოგვიანებით, განმცხადებლებმა გაასაჩივრეს სასამართლოს გადაწყვეტილება, თუმცა უშედეგოდ.

სამართლებრივი შეფასება

მე-4 მუხლი

(ა) ზოგადი პრინციპები ადამიანით ვაჭრობის (სავარაუდო) მსხვერპლთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შესახებ

მოცემული საქმე წარმოადგენს პირველ შემთხვევას, როდესაც ევროპულ სასამართლოს მოუწია ემსჯელა, შესაძლებელია თუ არა და რა შემთხვევაში შეიძლება ტრეფიკინგის (სავარაუდო) მსხვერპლის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივმა დევნამ წარმოშვას სამართლებრივი პრობლემა კონვენციის მე-4 მუხლის ფარგლებში. ტრეფიკინგთან ბრძოლის შესახებ არსებული საერთაშორისო სტანდარტები არ მიუთითებს არც ტრეფიკინგის მსხვერპლთა სისხლისსამართლებრივი დევნის ზოგად აკრძალვაზე. ამასთან, არც

ტრეფიკინგის მსხვერპლ არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი დევნა შეიძლება გამოირიცხოს ყველა შემთხვევაში.

მიუხედავად ამისა, გარკვეულ გარემოებებში, ადამიანით ვაჭრობის (სავარაუდო) მსხვერპლთა სისხლისსამართლებრივი დევნა, შესაძლებელია ეწინააღმდეგებოდეს სახელმწიფოს ვალდებულებას, გაატაროს ქმედითი ღონისძიებები მათ დასაცავად. ასეთი შემთხვევა სახეზეა, როდესაც სახელმწიფო ორგანოებს ჰქონდათ, ან უნდა ჰქონოდათ ინფორმაცია იმ გარემოებათა შესახებ, რომლებიც აღძრავს საფუძვლიან ეჭვს იმის შესახებ, რომ კონკრეტული ინდივიდი ტრეფიკინგის მსხვერპლია.

იმისათვის, რომ (სავარაუდო) მსხვერპლის სისხლისსამართლებრივი დევნის პროცესში წარმოჩნდეს კონვენციის მე-4 მუხლით გარანტირებულ თავისუფლებათა პატივისცემა, არსებითი მნიშვნელობა ენიჭება მსხვერპლთა ადრეულ იდენტიფიცირებას. როგორც კი უფლებამოსილი ორგანო შეიტყობს ან უნდა შეეტყო იმ გარემოებათა შესახებ, რომლებიც აღძრავს საფუძვლიან ეჭვს იმის თაობაზე, რომ ბრალდებული ტრეფიკინგის მსხვერპლია ან მისი ექსპლოატაცია ხდებოდა, საჭიროა, რომ გადამზადებულმა და კვალიფიციურმა პირებმა შეაფასონ ბრალდებული საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილ კრიტერიუმებზე დაყრდნობით. ამ შემთხვევაში, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა იმ ფაქტს, რომ ძალადობის ან/და იძულების ელემენტის არსებობა არ არის სავალდებულო მაშინ, როდესაც ბრალდებული არასრულწლოვანია.

ამასთან, გამომდინარე იქიდან, რომ პირის, როგორც ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლის სტატუსმა, შესაძლებელია, გავლენა იქონიოს სისხლისსამართლებრივი დევნისთვის საკმარისი მტკიცებულებების და დევნის დასაწყებად საჭირო საჯარო ინტერესის არსებობაზე, სავარაუდო მსხვერპლის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ გადაწყვეტილება, რამდენადაც ეს შესაძლებელია, მიღებულ უნდა იქნას მხოლოდ კვალიფიციური პირის მიერ ტრეფიკინგთან დაკავშირებული შეფასების ჩატარების შემდეგ. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არასრულწლოვნების შემთხვევაში. ევროპულმა სასამართლომ, კონვენციის მე-3 და მე-8 მუხლებთან დაკავშირებულ სასამართლო პრაქტიკაზე დაყრდნობით, მიიჩნია, რომ ბავშვთა განსაკუთრებული მოწყვლადობიდან გამომდინარე, კონვენციის მე-4 მუხლით გათვალისწინებული ქმედებებისგან სახელმწიფოს მიერ ბავშვთა დაცვის მიზნით გატარებული ზომები უნდა იყოს ეფექტიანი და მოიცვას გონივრული ღონისძიებების განხორციელება იმ ქმედებათა პრევენციისა და აღკვეთისთვის, რომელთა შესახებაც სახელმწიფოს ჰქონდა ან უნდა ჰქონოდა ინფორმაცია. მას შემდეგ, რაც კვალიფიციური პირი ჩაატარებს ტრეფიკინგთან დაკავშირებულ შეფასებას, სისხლისსამართლებრივ დევნასთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას სავალდებულოა ამ შეფასების მხედველობაში მიღება. პროკურატურისთვის ამ შეფასებას სავალდებულო ძალა არ აქვს, თუმცა თუკი პროკურატურა არ იზიარებს შეფასების დასკვნებს, საჭიროა ადამიანით ვაჭრობის განმარტების შესახებ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ნათელი არგუმენტების მოყვანა.

(ბ) ამ პრინციპების გამოყენება

ადამიანით ვაჭრობის განმარტების შესახებ არსებული საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ნათელი არგუმენტების საფუძველზე, მოპასუხე სახელმწიფოს პროკურატურას შეეძლო არ გაეზიარებინა კომპეტენტური ორგანოს დასკვნა იმის თაობაზე, რომ ორივე არასრულწლოვანი განმცხადებელი იყო ტრეფიკინგის მსხვერპლი. თუკი პროკურატურა გაიზიარებდა დასკვნას, მას მაინც ექნებოდა განმცხადებელთა წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების უფლებამოსილება, თუკი დაადგენდა, რომ არ არსებობდა მიზეზობრივი კავშირი განსახილველ სამართალდარღვევას და ტრეფიკინგს შორის. თუმცა, მოვლენათა განვითარების არცერთი ზემოხსენებული ვერსია არ შეესაბამება რეალობას.

პირველი განმცხადებელი იპოვეს ისეთ გარემოებებში, რომლებიც თავისთავად ბადებდა საფუძვლიან ეჭვს იმის შესახებ, რომ იგი ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლი იყო. მეორე განმცხადებელი პოლიციამ თავდაპირველად სრულწლოვნად მიიჩნია, თუმცა საფუძვლიანი ეჭვი უკვე არსებობდა სულ მცირე ცხრა დღის შემდეგ, როდესაც უფლებამოსილმა ორგანოებმა დაასკვნეს, რომ ის არასრულწლოვანი იყო. მიუხედავად ამისა, არც ერთი განმცხადებელი არ გადაუყვანიათ კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოში ტრეფიკინგთან დაკავშირებული შეფასების ჩასატარებლად. ნაცვლად ამისა, მათ წარუდგინეს ბრალი, მოგვიანებით კი, ორივე განმცხადებელმა აღიარა დანაშაული.

მიუხედავად იმისა, რომ მოგვიანებით, კომპეტენტურმა სახელმწიფო ორგანომ ორივე განმცხადებელი ტრეფიკინგის მსხვერპლად ცნო, პროკურატურამ, სათანადო დასაბუთების გარეშე, არ გაიზიარა ამ შეფასების შედეგი. სააპელაციო სასამართლომ კი, იმავე არასათანადო არგუმენტებზე დაყრდნობით, მიიჩნია, რომ განმცხადებელთა წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება იყო გამართლებული. ეროვნული იურისდიქციის ფარგლებში გაკეთებული ორივე შეფასება დაეყრდნო ფაქტორებს, რომლებიც არსობრივად არ არის თანხვედრაში ტრეფიკინგის საერთაშორისო დონეზე აღიარებულ განმარტებასთან.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, მოპასუხე სახელმწიფომ ვერ შეასრულა კონვენციის მე-4 მუხლით ნაკისრი ვალდებულება, გაეტარებინა ოპერატიული ღონისძიებები განმცხადებლების, თავდაპირველად, როგორც ტრეფიკინგის სავარაუდო მსხვერპლთა, მოგვიანებით კი - უფლებამოსილი ორგანოს მიერ ტრეფიკინგის მსხვერპლად აღიარებულ პირთა, დასაცავად.

დასკვნა: დარღვევა (ერთხმად)

კონვენციის მე-6(1) მუხლი

(ა) კონვენციის მე-6 მუხლის მიზნებისთვის, წარმოშობს თუ არა პრობლემას განმცხადებელთათვის ბრალის წაყენება და მსჯავრის დადება მათი, როგორც ტრეფიკინგის მსხვერპლთა, სტატუსის დადგენამდე

ორივე განმცხადებელს სამართალწარმოების საწყისი ეტაპიდანვე ჰყავდა კანონიერი წარმომადგენელი. ზოგადად, ეს ფაქტორი წარმოადგენს სამართალწარმოების პროცესის უსამართლობის გამორიცხვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გარანტიას. თუმცა, მომჩივანთა კანონიერმა წარმომადგენლებმა დაუფიქრებლად უარყვეს შესაძლებლობა, რომ მათი დაცვის ქვეშ მყოფნი ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლნი იყვნენ და არ იმოქმედეს შესაბამისად. მიუხედავად იმისა, რომ დაცვის მხარის წარმომადგენლები ეჭვგარეშედ უნდა იყვნენ მომართულნი ტრეფიკინგის ინდიკატორების გამოვლენაზე, მათ მიერ ამგვარი ყურადღების გამოუჩენლობა პასუხისმგებლობისგან ვერ გაათავისუფლებს სახელმწიფოს და მის წარმომადგენლებს. კონვენციის მე-4 მუხლის კონტექსტში სახელმწიფოს ეკისრება პოზიტიური ვალდებულება, დაიცვას ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლნი და გამოიძიოს ტრეფიკინგის სავარაუდო შემთხვევები. აღნიშნული ვალდებულება განპირობებული იყო იმ გარემოებათა არსებობით, რომლებიც წარმოშობდა საფუძვლიან ეჭვს იმის შესახებ, რომ კონკრეტული პირი ტრეფიკინგის მსხვერპლი იყო და არა სავარაუდო მსხვერპლის მიერ ან მისი სახელით წარმოდგენილი შუამდგომლობით. არ შეიძლება ბრალდებულს, განსაკუთრებით კი - არასრულწლოვანს, მოეთხოვებოდეს ტრეფიკინგის მსხვერპლად თვითიდენტიფიცირება ან პასუხისმგებლობა ეკისრებოდეს ამის განუხორციელებლობისთვის. შესაბამისად, სახელმწიფომ დროულად არ შეაფასა, იყვნენ თუ არა განმცხადებლები ტრეფიკინგის მსხვერპლნი, რის გამოც მომჩივნებს არ მიეცათ საშუალება, წარმოედგინათ მტკიცებულებები, რომლებსაც, შესაძლოა, არსებითი გავლენა მოეხდინა მათი დაცვის პოზიციაზე.

(ბ) თქვეს თუ არა განმცხადებლებმა უარი მე-6 მუხლით გარანტირებულ უფლებებზე

განმცხადებლებმა „ცალსახად“ აღიარეს დანაშაულის ჩადენა და იმის გათვალისწინებით, რომ მათ კანონიერი წარმომადგენლები ჰყავდათ, უდიდესი ალბათობით იცოდნენ ამ ქმედების შედეგების შესახებ. მიუხედავად ამისა, არ შეფასებულა, იყვნენ თუ არა ისინი ჩართულნი ადამიანით ვაჭრობაში და თუკი ასე იყო, ჰქონდა თუ არა ამ ფაქტს გავლენა მათ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე, სწორედ ამიტომ, დანაშაულის აღიარება არ მომხდარა „ფაქტობრივი გარემოებების სრულად შეცნობის“ საფუძველზე. გარდა ამისა, უფლებაზე უარი შეეწინააღმდეგებოდა ადამიანით ვაჭრობასთან ბრძოლის და მის მსხვერპლთა დაცვის მნიშვნელოვან საჯარო ინტერესს. მართალია, რომ პირველმა განმცხადებელმა არ გამოიყენა კანონიერ წარმომადგენელთან კონსულტაციის გავლის შედეგად აღიარებაზე უარის თქმის საშუალება, რომელიც საქმის განმხილველმა მოსამართლემ მისცა. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ განმცხადებელი იყო არასრულწლოვანი, იგი დააკავეს და ბრალდებულად ცნეს უცხო სახელმწიფოს სისხლის სამართლის სისტემაში, მან კი დანაშაული აღიარა იმგვარ გარემოებებში, რომლებიც ვერ ჩაითვლება მე-6 მუხლით გარანტირებულ უფლებებზე უარის თქმად. შესაბამისად, ვერ ვიტყვით, რომ მომჩივანმა უარი თქვა ზემოხსენებულ უფლებებზე მაშინ, როდესაც არ გაითვალისწინა საკუთარი კანონიერი წარმომადგენლის რჩევა ამ საკითხთან დაკავშირებით.

(გ) დადგა თუ არა სამართალწარმოების სამართლიანობა ეჭვქვეშ

მიუხედავად იმისა, რომ განმცხადებლებმა დანაშაული აღიარეს, პროკურატურამ ხელახლა განიხილა მათ წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საკითხი მას შემდეგ, რაც ისინი უფლებამოსილმა ორგანომ ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლად ცნო. ამასთან, მოგვიანებით ორივე მათგანს მიეცა გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება ხანდაზმულობის ვადის გადაცილებით, პირველი განმცხადებლის საქმე კი ხელახალი განხილვისთვის სააპელაციო სასამართლოს დაუბრუნდა.

ამის მიუხედავად, უფლებამოსილი ორგანოს დასკვნის გაუზიარებლობის დასასაბუთებლად პროკურატურის მიერ მოყვანილი არგუმენტაცია სრულიად არაადეკვატური იყო და არ შეესაბამებოდა ტრეფიკინგის დანაშაულის განმარტებას საერთაშორისო სამართლის მიხედვით. ამასთან, ორივე შემთხვევაში, საჩივრის განხილვისას სააპელაციო სასამართლო დაეყრდნო პროკურატურის მიერ მოყვანილ არგუმენტაციას. მიუხედავად იმისა, რომ განმცხადებლებმა საკუთარი პოზიცია ევროპული კონვენციის მე-4 მუხლის საფუძველზეც დაასაბუთეს, სასამართლომ მათი საქმე არ განიხილა ამ მუხლის შესაბამისად სახელმწიფოს მიერ ნაკისრი პოზიტიური ვალდებულების ჭრილში. ამის საპირისპიროდ, სასამართლომ უფრო ვიწრო ჭრილში განიხილა საქმე და ტრეფიკინგის მსხვერპლს დააკისრა პასუხისმგებლობა იმის გამო, რომ არ მოახდინა ტრეფიკინგის მსხვერპლად თვითიდენტიფიცირება. სასამართლომ სახელმწიფო ორგანოებს მისცა საშუალება, საკუთარი მოვალეობის შეუსრულებლობა გამოეყენებინათ, როგორც ტრეფიკინგის მსხვერპლთა დასაცავად კონვენციის მე-4 მუხლის შესაბამისად ნაკისრი ვალდებულების (ოპერატიული ღონისძიებების გატარების ვალდებულება) შეუსრულებლობის გამამართლებელი ფაქტორი. შესაბამისად, სააპელაციო წარმოების ფარგლებში ვერ გამოსწორდა სამართალწარმოებაში გამოვლენილი პროცედურული ხარვეზები, რამაც განმცხადებელთათვის ბრალის წაყენება და მათი მსჯავრდება განაპირობა.

დასკვნა: დარღვევა (ერთხმად)

41-ე მუხლი: 25 000 ევრო თითოეულ განმცხადებელს მორალური ზიანის ანაზღაურების სახით.